საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.
ტფილისის გარეთ 60 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

№ 417 1918 წ. ხუთშაბათი, დეკემბრის 19. № 411

32

დეკემბრის 17 პარლამენტის სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარემ ყურადსაღები სიტყვა წარმოსთქვა. მთელმა პარლამენტმა ოვაციები გაუმართა სომხების გარდა, რომელიც გაამევეს დარბაზიდან. ტფილისის სომეხ მილიციონერებს იარაღი აჰყარეს. გერმანიაში ებერტის მომხრეები იმარჯვებენ.

ღრმად დამწუხრებული დედმ კესარია ფიფიას ასული ძმები ალექსი, ჯუნდა, გუდუ და ზებედე გოგიასძენი, დები ვარვარა, ციცუ და აკა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას

სტეფანე გოგიასძე ბაძაღუასას

რომელიც იქმნა ვერაგულად მოკლული ბაღდადის მთაზედ „მოლობილაშიდ“ 1918 წ. დეკემბრის 7-ს ტირილის და უკანასკნელი გამოთხოვების დრო დანიშნულია 1918 წ. დეკემბრის 8-ს ძველი სტილით. სოფელ მუხურში (ზუგდიდის მაზრა) დაკრძალვა იქნება მუხურის წმინდა გიორგი ეკლესიის სასაფლაოზედ. 2574

გულდამწვარი დედა კუწა იოსების ასული, მამა სამსონ დავითის ძე, ძმები: კოწია სოლომონ, სანდრო და მიშა ქლენტები, დები: ქსენია, გოგოცა კიკნაძისა და მაშო კიკნაველიძისა, რძლები: ლუბა, თამარა და ფუცუნია უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ

დათიკო სამსონის ძე ქლენტის

ვერაგ ხელით ტრაღიკულად გარდაცვალებას ქ. ზესტაფონში დაკრძალვა მოხდება ს. კვალითში (შორაპნის მაზრა) ხუთშაბათს, დეკემბრის 19-ს (ახალი სტილით). 2593

ინჟინრები ვასილ კაკაბაძე და მირიან ჯაში ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს გულითადი მეგობრის

კოლია გურგენიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დეკემბრის 19-ს, 3 საათზე. გამოსვენება საკუთარ სახლიდან, ტფილისის ქუჩა

თავზარდაცემული მშობლები ივლიანე და გიორგი და დები ქენია და ნინო გურგენიძენი განუსაზღვრელ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგებს და მეგობრებს ახალგაზრდა იურისტის

კოლია გურგენიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დეკემბრის 19 ს, სამ საათზე გამოსვენება საკუთარ სახლიდან, ტფილისის ქუჩა.

წარმოდგენა სახელმწიფო თეატრი № 5, 6.

პარასკევს, ორშაბათს, 1918 წ. დეკემბრის 20, 23-ს,
„კავშირი“-ს დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მეორედ ი. გედევანიშვილის
ზღაპარი ფერია

ს ი ნ ა თ ლ ე

(I ნაწილი). 3 მოქ. და 7 სურ.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს საოპერო დასის ბალეტი ბ-ნ ვაკარეცის ხელმძღვანელობით, ხორო და ორკესტრი კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით.
დასაწყისი საღამოს 7 ს. ◆ მსახიობთა კავშირის დირექცია.
მზადდება „ანტიგონე“, „ტარიელ გოლუა“. მორიგ. წარ. მომ. ალ. გაჩეჩილაძე.
რეჟისორი შალვა დადიანი. 1438 თანაშემწე ალ. გუგუშვილი.

სახელოსნო კლუბი

(მიხეილის ქუჩა № 66).

მუშტ. დემ. კლ. არს. წარ. მმართ. წრე მართავს წარმოდგენას
ხუთშაბათს, 1918 წ. დეკემბრის 19-ს, წარმოდგენილი იქნება:

და-ძმა

დრ. 5 მოქ. და 6 სურ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებს მთელი წრე. ◆ ბილეთების ფასი ჩვეულებრივია.
რეჟისორი პ. ფრანგიშვილი. ◆ დასაწყისი საღამოს სრულ 7 ს.
2605 ქარ. წარ. მმარ. წრის გამგეობა.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

ხუთშაბათს, დეკემბრის 19-ს, პოლიტეხნიკუმის სასარგებლოდ საბანეევის, ზალიპსკის, ერონსკის, ნიკოლსკის და დემიანენკოს მონაწილეობით სევილიელი დალაქი და ბალეტი (ოპერა ჯიოკონდიდან).

შაბათს, დეკემბრის 21-ს, საბანეევის, სარაჯიშვილის და ინაშვილის მონაწილეობით ტრავიატა.

კვირას, დეკემბრის 22 ს, დილით ევგენი ონეგინი, საღამოთი ალეშკოს ზალიპსკის, ნიკოლსკის მონაწილეობით რუსალკა.

სამშაბათს, საბანეევის და სარაჯიშვილის მონაწილეობით მარგალიტის მაძიებელნი. 1397

ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს

თანახმად მთავრობის დადგენილებისა ამა თვის 7-ს თარიღით, რათა საჩქაროდ მოეწყოს სახელმწიფო მოსამსახურეთა სასურსათო დახმარების ორგანიზაცია, შრომის სამინისტრო წინადადებას აძლევს რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, გარდა რკინის გზის და სამხედრო უწყებისა, დაჩქარებით წარმოგვიდგინონ სია თავიანთ მოსამსახურეების შემდეგ განმარტებით: 1. თანამდებობა მოსამსახურისა, 2. რაოდენობა ჯამაგირისა, 3. ოჯახის შემადგენლობა (რიცხვი ოჯახის წევრებისა), 4 რაოდენობა და ფასი მოსახმარ საგნებისა, რომელსაც იღებენ დაწესებულებისგან და ან სად იღებენ. სია იმ მოსამსახურეების იმ დაწესებულებებიდან რომელნიც იმყოფებიან ტფილისში უნდა არა უგვიანეს დეკემბრის 20-ისა და პროვინციაში კი არა უგვიანეს 1919 წლის იანვრის 1-სა სიები უნდა გამოგზავნილ იყოს შრომის სამინისტროში. (პეტრე დიდის ქუჩა 8).

შრომის სამინისტრო. 1445.

იბეჭდება და ამ ათ დღეში გამოვა

კედლის

საქართველოს კალენდარი

ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე.

კალენდარი იბეჭდება ახალი და ძველი სტილით.

კალენდარის კარდონზე მოთავსებული იქნება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნ. ს. ჩხეიძის და საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნ. ნ ჟორდანიას სურათები. იქვე მოთავსებული იქნება საქართველოს ღერბი, საქართველოს დროშა და რევოლიუციონური დროშა ფერადი საღებავით შესრულებული მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის მიერ

კალენდარის ზედა პირზე მოთავსებული იქნება ფერადის საღებავით შესრულებული საქართველოს ღერბი მხატვარის შარლემანის შესრულებული.

ფასი კალენდრისა ათი მანეთი.

დაკვეთა შეიძლება საქართველოს მთავრობის სტამბაში, კალოუბანის ქუჩა, № 5. 1449

დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი“

დემ. კლ. არს. ქარ. წარ. მმარ წრე.
კვირას, 1918 წელს დეკემბრის 22-ს

მსახიობ პ. ფრანგიშვილის
ბენეფისი

წარმოდგენილი იქნება ანდრეევის ცნობილი პიესა

დღენი ჩვენი ცხოვრებისა

4 მოქ. თარ. ალ. იმედაშვილისა.

მონაწილეობს მთელი წრე. გლუხოვცევის როლს შეასრულებს მობენეფისე.
ბილეთების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია.

ბილეთები იყიდება ყოველ დღე კლუბის კასაში, საღამოს 4-დან 8 საათ.
დასაწყისი სრულ 7 საათზე. ◆ დაწვრილებით პროგრამებში.
რეჟისორი: პ. ფრანგიშვილი. ადმინისტრატორი ნ. მაჭავარიანი.
2604 ქარ. წარ. მმარ. წრის გამგეობა.

თავისუფალი
ქართულ სიმღერა-გალობის
მასწავლებელნი

2603 იკითხეთ რედაქციაში.

განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ნებართვით ქართული ლეგიონი მოიწვევს მოხალისეებს.

მამულიშვილნო, დღეს სამშობლოს თქვენი თავი სჭირია!

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ბინაზე, სასახლის ქუჩა, ქართული თეატრის ეზოში, სადაც დროებით არის მოთავსებული ლეგიონის კანცელიარია. იქვე შეიძლება ყოველგვარი პირობების შეტყობა.

1447 ლეგიონის სარდალი პოლკოვნიკი ლეო კერესელიძე

ამოვა ახალგაზრდა სოც.-ფედერალისტთა ყოველ თვიური, 64 გვერდიანი, სამეცნიერო, საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი

„ლოგოსი“

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო პარტიული ძალები.

ხელის მოწერა მიიღება ამ თავითვე ჟურნალი ღირს წლიურად—45 მანეთი, ნახ. წლით—23 მან., სამი თვით—12 მან., თითონომერი 4 მანეთი.

მისამართი: ლორის მელიქოვის ქ. № 1ს.-ფედ. ბიურო.
რედაქცია დილით 10—2 ს., საღამოთ 3—5 ს. 1440

ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)
დღეს, 1918 წ. დეკემბრის 19-ს გაიმართება

დიდი საზომრო წარმოდგენა

დღეს მონაწილეობას იღებენ: ლევინსკი, ჰაერის მეფენი სამი ეშმაკი, სლასტუშინსკი, ნიკოლინი, იაპონური დასი იმადოსან, ვიქტორი და დიმი, და მთელი დასი. დღეს ყველაფერი ახალი და საინტერესოა.

მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი. 2597

ტფილისი, დეკემბრის 19.

ჩვენი მოპირდაპირენი

სომხეთთან ომი უკვე ფაქტია, ეხლა უკვე აღარავითარ რყევას, აღარავითარ ლოლიავობას ადგილი აღარა აქვს. ჩვენმა მოპირდაპირემ მახვილი აიღო ხელში და ჩვენც გავუმართლებთ ძველს თქმას: ვინც ხელთ აღიღებს მახვილს, მახვილითვე დაიღუპება. იმ დოკუმენტებიდან, რომელიც მთავრობამ გამოაქვეყნა, სჩანს რომ ზედმეტი ერთგულება და მოფერებაც კი გამოგვიჩენია იმ მუხანათ ხალხისადმი, რომელიც მუდამ ჟამს პირით ერთგულებას გვეფიცებოდა, ხოლო ხელში ხანჯალი ჰქონდა მომარჯვებული და მოხერხებულ დროს უცდიდა, რომ გულში ჩაეცა ჩვენი ქვეყნისათვის, რევოლიუციისა და რესპუბლიკისათვის. ვიმეორებთ, რაც მრავალჯერ გვითქვამს: საქართველოს ომი არ ჰსურდა, მაგრამ იგი ძალით თავს მოახვიეს და იგიც შესაფერისად გასცემს პასუხს მტერს, რომელსაც განთავისუფლებულ მონის თავხედობა და მუხანათობა აქვს.

უკვე გამოცხადებულია ჯარის მობილიზაცია. საჭიროა ყოველგვარ პირად საქმის დავიწყება, საჭიროა მთელი ჩვენის ძალ-ღონით, გამოცდილებით საქმიანობით ლავეხმაროთ საქართველოს მთავრობას. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადასწყდეს საკითხი ჩვენ მეზობლებთან, უნდა ვუჩვენოთ მათ, რომ აგრე ადვილად ხელწამოსაკრავი არა ვართ, უნდა ერთხელ და სამუდამოდ მოვუსპოთ იმედი და პრეტენზიები საქართველოს დაღუპვისა და გადაყლაპვისა. და ღრმად დარწმუნებულნი ვართ, მათი მუხანათობა, მათი ავანტიურა არავისში, არც გარეშე ძალების წინაშე არა ჰპოებს გამართლებას და იმას შეაფასებენ ისევე, როგორც შეაფასეს მათი მოღალატური მოქმედება ბაქოში, სადაც ინგლისელებიც მოატყუეს, ბოლშევიკებიც, დანარჩენი პარტიებიც, მაგრამ ბოლოს თვითონვე დარჩნენ მოტყუებულნი და წაგებულნი. სომხეთის მაშინდელ ავანტიურას ეხლა ისეთი ვექილები სჭირიან, როგორიც ბალფური და სესილია, რომელთაც ფრონტშეცვლილი სომხები არწმუნებენ, რომ მათი მოქმედება ბაქოში და ღალატი მთელ სომხეთს კი არ მიეწერება, არამედ ჯგუფს, რომელსაც სომხეთთან კავშირიც არა ჰქონია.

ასეთია მათი პოლიტიკა. სადაც გაუვათ, იქ გმირები არიან, სადაც არა—თავს მოიკატუნებენ. ეხლაც ასე მოიქცევიან. თუ გაუვიდათ, ხომ კარგი, თუ არა და მტკიცებას დაიწყებენ: სომხეთის მთავრობას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ამ საქმეში, იგი ზოგიერთ უპასუხისმგებლო პირებისაგან მოწყობილი საქმეაო. ერთი სიტყვით სომხების პოლიტიკა იყო ყოველთვის მოღალატური: ოსმალეთში, რუსეთში, ბაქოში და სხვაგან. არმავირში ბოლშევიკების ჯარი რომ იყო, მთელი სომხობა იქ ჩაეწერა. როცა ბოლშევიკები დამარცხდნენ და მოხალისე ჯარი შევიდა ქალაქში, მთელი სომხობავე მასში ჩაეწერა. შემდეგ ბოლშევიკებმა ისევ გაიმარჯვეს და ქალაქი ხელთ იგდეს. სომხობამ მოინდომა ისევე მათ ჯარში დაბრუნება, მაგრამ ამისთანა ვერაგ ხალხის მიღება აღარ ინდომეს გამარჯვებულებმა, რა მოჰყვა ამას? მხოლოდ სომხის ერის ხოცვა-ჟლეტა, რომელიც სრულიად ბუნებრივი იყო მისი ხელმძღვანელების პოლიტიკის შემდეგ.

ჩვენ მოვითხოვთ მთავრობისაგან დაწყებული საქმე შუა გზაზე არ მიატოვოს და როგორც კი მოპირდაპირე თავს მოიკატუნებს—თავზე ხელი არ გადაუსვას. სისხლი ასე უწყალოდ დაღვრილი ყოვლად უმიზეზოდ, იმ დახოცილ და დასახიჩრებულ ჯარისკაცთა აჩრდილები, რომელნიც მუხანათურად თავს დაესხნენ—მოითხოვს დამნაშავეების სასტიკად დასჯას და შემოსეულ მტრების საბოლოვოდ ალაგმვას. ჩვენ თვალი არ უნდა დავიბრმავოთ. თუ არ გადავსწყვიტეთ მახვილით ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტა მშვიდობიანი გზით არ გვაცალეს—ხვალ-ზეგ საქმე ისევ თავიდან დაიწყება და იძულებულნი ვიქნებით მუდამ ფეხზე ვიდგეთ იარაღში ჩამსხდარნი და მოსვენება არ გვქონდეს მტრისაგან, ჩვენი რომ არაფერი სწამს და მარადის ჩვენს ოჯახკერაზე უჭირავს თვალი.

მეტი სიმტკიცე, მეტი ენერგია და ამ წმინდა საქმეში, სამშობლოს მიწა-წყალის, ჩვენი სახელის, ჩვენი

ეროვნული

პატიოსნების დაცვაში მთელი შეგნებული საქართველო, მთელი ქართველი ხალხი მთავრობის, ეროვნულ დროშის გარს შემოკრბება. ყოველგვარი საშუალება ვცადეთ ყოველი ღონისძიება მივიღეთ, არა გვივიდა რა. ჩვენ პასუხის მგებლობა თავიდან გვშორდება და მთელი სიმძიმით აწვება ზინვორებს.

მოძმეთა სისხლი

საამაყოდ გვქონდა მიჩნეული იშვიათი ისტორიული მოვლენა, რომ ქართველები და სომხები მრავალი საუკუნის განმავლობაში მეზობლად ვცხოვრობდით და ჩვენს შორის ერთხელაც არ მომხდარა ომი. მხოლოდ მშვიდობიანი ურთიერთობა გვქონდა და კულტურულ თანამშრომლობას ვეწეოდით დღეს ეს ძვირფასი ტრადიცია დაიმსხვრა, სწორედ მაშინ, როდესაც დემოკრატიული პრინციპების გამარჯვებაა, დგება ერების განთავისუფლების ხანა და ჩვენმა და სომხის ერმა დაიწყეს აღორძინება, მკვრეთით აღსდგომა დაიღვარა სისხლი მოძმე მეზობელ ერების და ეს ღრმა ტკივილის მეტს არაფერს გამოიწვევს იმის გულში, ვისი გონებას არ ამოძრავებს მარტო წუთიერი აღელვება არამედ ძალუძს ცოტა შორს გაიხედოს და განსჭვრიტოს საერთო ვითარება როგორც აწმყოსი ისე მოსალოდნელი მომავლის.

დღევანდელის ერთის დღით არავინ ცხოვრობს და თუ ხვალაც უნდა ვიყოთ, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ხვალინდელი იქნება მხოლოდ და მხოლოდ შეთანხმება-შეკავშირება და არა ერთი მეორეს ჰამიობა. განსაკუთრებით ეს ითქმის პატარა ერებისთვის, რომელთა არსებობა მაშინაა უზრუნველყოფილი, თუ რაც შეიძლება ნაკლებ ძალას ხარჯავენ გარეშე მოგერიების საჭიროებაზე და მეტს ღონეს მოახმარებენ შინაურ შემოქმედებას, მეტად იზრუნებენ თავის ქონებრივ-გონებრივ წარმატებისათვის. მსოფლიო ომმა და რევოლუციამ ამიერ-კავკასიაში სამი რესპუბლიკა, სამი ერის სახელმწიფოებრივი არსებობა აღმოაცენა და მათი ინტერესი იყო ამ მეტად გართულებულ დროს ურთიერთის გამაგრება და დახმარება. ვერც ერთი ერი ამიერ-კავკასიაში ვერ ააგებს თავის კეთილი დღეობას მეზობლის დაჩაგვრასა და დამონებაზე და თუ რომელიმე ამას მოიწადინებს, მხოლოდ არეულობას გამოიწვევს, ძირს გამოუთხრის აქაურ მკვიდრთა თავისუფალ ცხოვრებას და გახდის მთელს ამიერ-კავკასიას გარეშე ძალების სათარეშო ასპარეზად.

შეუთანხმებლობა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისა წარმოუდგენელია; მათი მორიგება გარდაუვალია, სხვა გზა არ არსებობს კავკასიელ ერთა თავისუფლებისათვის, სომხეთის დღევანდელმა ხელმძღვანელებმა უკუაგდეს ეს ელემენტარული პოლიტიკური მცნება და უნდათ ძალით საქართველოს ნორჩი რესპუბლიკის დასახიჩრება, დაუძლურება, ახლად აღდგენილ ქართველი ერის განსაცდელში ჩაგდება და მით თავის ბედნიერების დამყარება ქართველმა ხალხმა, რომელიც ყველას მეტად ეთვისება სომხის ერს და ყოველთვის თანაგრძნობით ეკიდებოდა მის მდგომარეობას, თავის პარლამენტის და მთავრობის პირით გულახდილად და გადაჭრით გამოაცხადა: თუ რომ სადავო გვაქვს, მშვიდობიანის საშუალებით, მედიატორების დახმარებით გადავწყვიტოთ ყველაფერიო. არარატის რესპუბლიკას მართველებმა ეს არ მიიღეს, იარაღი აისხნეს და მოულოდნელად თავს დაგვესხნენ, ბრძოლა დაგვიწყეს.

ომს გვიცხადებენ იმ სახსარს, რომელსაც ღრმა გულის ტკივილით უნდა მივმართოთ. მოგვისპეს საშუალება ასე გადაგვეჭრა დავა, როგორც ეს საუკეთესო შეფერის დემოკრატიული წყობილებას, მოძმე ერების საარსებო ინტერესებს და დღეს მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ იარაღს იარაღი შევახვედროთ, ბრძოლას ბრძოლით გავსცეთ პასუხი

უნდა ფხიზლად შევხედოთ საქმის ვითარებას და სავსებით შევიგნოთ, რომ სომხის ჯარის თავდასხმამ და შემოსევამ მეტად საშიში და მძიმე მდგომარეობა შექმნა ჩვენთვის, როცა ჩვენი სახელმწიფო ჯერ კიდევ არ მომაგრებულა, ყოველი ომი სახიფათოა. ასეთია განსაკუთრებით სომხების გამოცხადებული ომი, არა იმიტომ, რომ საშიში იყვნენ თავისთავად თვით სომხები საერთაშორისო გარემოებაა ძალზე განსხვავებული, ჩვენს გარშემო ჯერ კიდევ არ ჩაქრალა ომის ცეცხლი, ყოფილ რუსეთის ნაწილებში ჯერ კიდევ სამოქალაქო ბრძოლა სწარმოებს, ჯერ კიდევ არ გაწმენდილა ჩვენი ქვეყანა იმ მრავალ გარეშე ელემენტისაგან, რომლებიც აშკარად თუ ფარულად დღე და ღამ ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მოქმედობენ. და სომხეთის მთავრობა უფრო ამას ემყარებოდა, ალბად რომ თავს დაგვესხა და ბრძოლა აგვიტეხა. მას იმის იმედი ასაზრდოვებდა ალბად. რომ საქართველოს ბედი საერთოდ გამწვავდება და ადვილად დასამარცხებელი იქნებაო...

აი ამისთვის გვმართებს ყველას აღვიჭურვოთ დიდის სიმტკიცით და როგორც ერთი კაცი შემოკრბეთ თავისუფალი საქართველოს დროშის გარშემო. უნდა ვუჩვენოთ ყველას, რომ ვაფასებთ მოპოვებულ თავისუფლებას და ერთხელ აღმდგარი ქართველი ერი აღარავის წინაშე არ მოიხრის ქედს. იცოდეს მტერმა, საიდანაც უნდა მოდიოდეს იგი რომ ქართველი ხალხი მხოლოდ სიკვდილის შემდეგ დასთმობს თავის დამოუკიდებლობას, და ცოცხალი კი არავის დაემორჩილება...

სამ. ფირცხალავა.

სომხური პრესა

ქართველ სომეხთა კონფლიქტისათვის „ნორ ჰორიზონი“ (№ 22, დეკემბრის 18) მოწინავე წერილში. „სომეხ-ქართველთა დავა საზღვრების ხაზისთვის“ აღნუსხავს სომეხ ქართველთა შორის დიპლომატიურ მოლაპარაკების უმთავრეს მუხლებს თანახმად საქართველოს მთავრობის ოფიციალური ცნობებისა პარლამენტმა რომ გამოაცხადა და შემდეგსა სწერს:

„ჩვენ ვაცხადებთ მთელ ქვეყნის გასაგონად, რომ **პირველი:** ქართული მთავრობის მოხსენებაში ფაქტები და მოვლენები საშინლად დამახინჯებულია; **მეორე**—სომხეთის მთავრობის უსაზღვრო სამშვიდობო ცდით საქართველოს მთავრობის იმპერიალისტ მმართველთა წყალობით ურცხვად სარგებლობდნენ მთელი ამ სამწუხარო ისტორიის მიმდინარეობის ხანაში, და, უკანასკნელ, **მესამე**, ჩვენ ვაცხადებთ და ვამტკიცებთ რომ თუ ქვეყანაზე სინიდისისა და სამართლიანობის სულ მცირე შუქ მაინც არსებობს, შეუძლებელია სამარადისოდ სამარცხვინო ბოძს არ გაეკრან საქართველოს მმართველი წრეები, რომელთაც თავისი შოვინისტური, ანტიდემოკრატიული, დამპყრობელობითი და უნიათო პოლიტიკის წყალობით დღევანდელი სასირცხო ისტორია შექმნეს“.

მერმე მოთხრობილია ისტორია „მხოლოდ სომხობით“ დასახლებულ ლორის დაპყრობისა საქართველოს „ინტერნაციონალისტების“ მიერ გერმანელების დახმარებით, ახალ ქალაქის დაჭერისა, მიუხედავად სომხეთის მთავრობის პროტესტისა, რომელზედაც საქართველოს მთავრობამ უპასუხა რომ ამ მაზრის დაჭერის საკითხი არც ისტორიული არც პოლიტიკური, და არც ზნეობრივი თვალსაზრისით სადავო არ არისო.

„საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრს ჰყოფნის გაბედულობა გამოაცხადოს რომ (მიუხედავად სომხეთის მთავრობის გაფრთხილებისა, რათა სომხის სოფლებისთვის საარტილერიო ცეცხლი არ გაეჩინათ) 13 დეკემბრამდი ასეთ აქტს ადგილი არ ჰქონია და მხოლოდ ამ რიცხვიდან დაიწყო, რაც ქართველი ჯარები იძულებული იყვნენ თავი დაეცვათ „სომხური ჯარის ნაწილების მიერ დეკემბრიდან დაწყებულ აგრესიულ მოქმედებიდან. ხოლო იმავე მთავრობის ნახევრად ოფიციოზურ „ბორბა“ში. დეკემბრის 10 (№ 241) სიტყვა-სიტყვით შემდეგი სამხედრო ცნობებია დაბეჭდილი.

„Начальник бронированнаго поѣзда № 1 телеграфно сообщил штабу бронированных поѣздов, что 9 декабря, 8 ч у. нащ отряд отправился в селеніе Узунлар. По дорогѣ отряд был обстрылен армянами, занявшими дорогу С бронированнаго поѣзда отвѣтили артиллерійским и пулеметным огнем“...

—

„აშხატავორი“ № 208, დეკემბრის 18 სწერს:

„რაც შეეხება საქმის ფაქტიურ მხარეს, უნდა ვთქვათ, რომ პირველად სანაინის ამბავი სრულიადაც ისე არ მიმდინარეობდი და ვითარდებოდა, როგორც ტფილისის მთავრობას წარმოუდგენია „გამცემლობა და ღალატი სომხის მხრით“.

შემდეგ გაზეთს მოჰყავს ცნობები, რომ დეკემბრის 14 მხოლოდ სოფლელების ბუნტს ჰქონდა ადგილი, რაიც გამოწვეული იყო ქართველი ჯარის ძალმომრეობით მათზე. საქმე დაიწყო ს. უზუნლარიდან და მერე მიყვა სხვა სოფლებსაც

„ამნაირად, განაგრძობს გაზეთი, სრულიად ბათილდება ის ზღაპარი, რომ 1) აქ სომხეთის მთავრობის მხრით რაიმე „ღალატი“ და „გაცემა“ მოხდა, 2) ვითომდა სომხური ჯარები რაიმე სახით მონაწილეობას იღებდნენ იმ წმინდა ადგილობრივ-გლეხურ მოძრაობაში, რომლის მსგავსი „ამბები“ საქართველოს რესპუბლიკაში, თვით ქართულ-ეროვნულ წრეებში ბევრი გვინახავს ამ ერთი წლის განმავლობაში. და ლორისა და ბორჩალოს სომეხ-ქართველთა შეტაკება თავისი **წარმოშობით და განვითარებით** (დეკემბრის 14) არაფრით არ განსხვავდება ამ მრავალრიცხოვან წმინდა ხალხურ-სოციალურ ნიადაგზე აღმოცენებულ აჯანყებებიდან. „სანაინის“ ამბავი **ფორმით** ეროვნული ხასიათისაა, სომხურ-ქართულ კონფლიქტს უძახიან, არსებითად კი ის არ განსხვავდება თვით მცხეთის მიდამოების, ბელიკლუჩის, **გურიიის (Sic?! მეპრ.)** და სხვა ჯანყებიდან, რომელსაც ადგილობრივ ხალხურ მოძრაობას უძახიან და განასხვავებენ სანაინის ამბებისაგან მხოლოდ იმიტომ, რამ შემთხვევით მათ ეროვნულ მომენტის მომატარებელი რაიმე ფორმალური საფუძველი არა აქვთ მაშინ როცა სანაინის ამბებს ასეთი საფუძველი აქვსო..

ამნაირად გავიგეთ და გვესმის ჩვენ საქმის ფაქტიური მხარე: ეს წმინდა ადგილობრივი ხალხური მოძრაობა იყო და 14 დეკემბრამდის სომხეთის მთავრობას მასში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია.

ხოლო რაც შეეხება საკითხის პრინციპულ მხარეს და მოვლენათა განვითარებას 14 დეკემბრის შემდეგ ჩვენ უნდა ვსთქვათ რომ სომხეთის მთავრობის საქციელში ჩვენ ვერ ვპოულობთ ვერაფერს, რასაც შეიძლებოდეს „გამცემლობა“ ან „მუხანათური თავდასხმა“ ვუწოდოთ. სომხეთის რესპუბლიკა ამით მხოლოდ 1) მიეშველა თავის **დაჩაგრულს და შევიწროებულს ხალხს** (ხაზი, სადაც საგანგებოა აღნიშნული არაა, ყველა „აშხატავორიისა“). 2) **დაიბრუნე თავისი უსამართლოდ წართმეული ტერიტორიისა**, რომელიც სომხეთის წაურთმეველ საკუთრებას შეადგენს როგორც მრავალჯერ წერილობით დაუმტკიცებიათ საქართველოს მთავრობის დღევანდელ ხელმძღვანელებს მაშინ, როცა ისინი ნამდვილი რევოლუციონერები და სოციალისტები იყვნენ...

სომხეთის მთავრობის გადაწყვეტილება—დაბრუნება ტერიტორიისა ხრამის მდინარემდე ჩვენ ისეთ დემოკრატიულ აქტად მიგვაჩნია, რომლის საშუალებითაც სომხის დემოკრატია დაიბრუნებს თავის უფლებებს თავის მამულ-დედულზე, რის შემდეგაც უნდა შესწყდეს ყოველივე „მტრული მოქმედება“.

„ჟოღოვურდი ძაინი“ (№ 18 1918) ბრალსა სდებს სომეხ და ქართველ სოციალისტებს, რომელნიც უდგანან დღეს სათავეში ამ ორი ერის მართვა გამგეობას, მოძმე ერთა შორის სისხლის ღვრის გამოწვევაში, მაშინ როცა ძველად მეფების დროსაც კი არ ყოფილა მათ შორის თვალსაჩინო ომები, დასძენს:

„ორივე ერის მშვიდობიანმა და პასუხისმგებელმა ელემენტებმა უნდა აიმაღლონ ხმა, რომ ჩამოვარდეს დროებითი ზავი მაინც რომლის განმავლობაშიაც მშვიდობიანის გზით უნდა გადიჭრას საზღვრების საკითხი.

უნდა გამონახულ იქმნეს ამ საშინელი სისხლის ღვრის ნამდვილი გამომწვევნი და ისეთი სასჯელი მიესაჯოს მათ, რომ მომავალში აღარავის თავში არ დაიბადოს აზრი კიდევ განიმეოროს ეს მიუტევებელი ბოროტ-მოქმედება

ჩვენ მოვითხოვთ დროებით ზავს!“

—

„ნორ-ჰორიზონის“ მე-21 ე № ში მოთავსებულ მეთაურში „მოკავშირეთა სახელმწიფო და სომხის ერი“, სადაც აღნიშნული, რომ მოკავშირეებმა ლორდ სესილის წერილის და ექ. ოგანჯანიანის დეპეშის მიხედვით) დააფასეს სომხის ერის თავგანწირულება და სამსახური და რომ სომხის პატარა და მმისი ერი უდიდესი მსხვერპლის გაღების შემდეგ, ოფიციალურად ცნობილ იქმნა როგორც მოკავშირე, თანასწორ უფლებანი ერი მოკავშირე სახელმწიფოთა მხრით და „იწოდებულ იქნა თავის წარმომადგენლობა იყოლიოს მომავალ კონგრესზე“.

შემდეგ გაზეთს ზოგიერთი შესწორება შეაქვს ლორდ სესილის წერილის ისტორიულ ნაწილში:

სომეხთა ყრილობა არზრუმში 1914 წ. და სხვ. და თავის მხრით სწერს უკანასკნელი წლის ისტორიას, სადაც სხვათა შორის, ამბობს:

„საქართველომ ფარული მოლაპარაკების საშუალებით მოახერხა დროებით გერმანელთა ჯარების შემოყვანა თავის ქვეყანაში და როცა დაინახა, რომ ქართველი ერის ფიზიკური არსებობა უკვე უზრუნველყოფილ იქმნა. ოსმალეთის მოკავშირე გერმანელი ხიშტების დახმარებით,—ბათომის ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერა და ჩვენ, სომხები, ჩვენს ბედს მიგვანდო. როგორც სიკვდილმისჯილი ერი ხ. (ხ. ნ. ჰ.)“.

ოსმალეთსაც ეს უნდოდა და დაუბრკოლებლად იარა ერევნამდე და სომხეთი დაიპყრო და აიოხრა.

„ვილჰელმის გერმანია, ხელ-სისხლიანი ოსმალეთი და ამიერკავკასიის გზადაბნეული და უმეცარი თათრების ბრბო შეუდარებელის თანხმობით სცდილობდნენ აღმოეფხვრათ ამ ადგილებში სომხის ერი და არავითარ საშუალებათა წინაშე არ ჩერდებოდნენ.

საშინელებად ქცეულმა, ეგოისტურმა და შოვინისტურმა მენშევიზმმაც აგრე თვე... თავისი სუსტი პოლიტიკით უფრო ჯოჯოხეთური და ტრაგიკული გახადეს სომხის დემოსის უმისოდაც მოწამებრივი და სასტიკი დღეები“.

დასავლეთმა ევროპამ ყოველივე ე' ჩვენი ტანჯვის დაწვრილებით ისტორია) არ იცის ალბათ, ამბობს გაზეთი და დასასრულ დასძენს:

„თუ არსებობს სინიდისი და სამართალი, უნდა ითქვას რომ არ შეიძლება სომხის ერი ამდენ მსხვერპლის შემდეგაც არ განთავისუფლდეს, მას უფლება აქვს მიიღოს ის, რაც ისტორიას, ჭეშმარიტად, მართებს მისი.

ამ ამონაწერებიდან საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველს მივუთითოთ იმაზე, თუ როგორ ასმენენ სომხის დაშნაკელები მოკავშირეებთან საქართველოს, რომელმაც „გერმანული ხიშტები“ მოიხმარა თავის ფიზიკური არსებობის დასაცავად და „შოვინისტურ მენშევიზმს“, რომელმაც სომხის ერს სიცოცხლე გაუმწარა.

უკანასკნელი ცნობები

სომხეთის დელეგაცია.

სომხეთის პარლამენტის მხრით საზღვარ-გარედ წავიდენ ა. აჰარონიანი და მ. პაპაჯანიანი, რომელიც იქ შეუერთდება ექ. ჰ. ოგანჯანიანი. დელეგაციის თავმდომარედ ა. აჰარონიანი.

დრო.

ალექსანდრეპოლისა, ყარაქლისასი და ლორის მიდამოების პოლიტიკურ და სამხედრო უფროსად დაინიშნა დრო; მის თანაშემწედ კი ს. მანასიანი.

სომხეთის მთავრობის დაცემის ხმა.

სარწმუნო წყაროდან გავიგეთ, რომ უკანასკნელ დღეებში სომხეთის მთავრობის დაცემის შესახებ გავრცელებული ხმები გამოგონილია.

საქართველოს პარლამენტი

(სამშაბათი, დეკემბრის 17).

სომხეთ-საქართველოს საკითხი.

კრება გაიხსნა 12 ს. 30 წ. თავმჯდომარეობს **ნ. ჩხეიძე**. პარლამენტმა მიიღო ს. ფირცხალავას მოხსენებით საბოლოო ტექსტი საქალაქო არჩევნების დებულების კანონისა და **თ. ღლონტის** მოხსენებით დაამტკიცა ტფილისის სასახლის ხარჯთ-აღრიცხვა. შემდეგი კანონ-პროექტი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ დაბრუნებულ იქმნა იურიდიულ კომისიაში.

ნაშუადღევის მეორის ნახევარზე რიგს გარეშე თხოულობს სიტყვას საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე **ბ. ნოე ჟორდანია**, და მოხსენებას ჰკითხულობს სომხეთ-საქართველოს შორის დაწყებულ ბრძოლის შესახებ.

მთავრობის განცხადება.

პირველი მინისტრი **ნ. ჟორდანია.** მოქალაქენო! იმ დროს, როცა მსოფლიო ომი ქრება, როცა უძლიერესად იმპერიალისტური ქვეყნები თავის ხმალს აგებენ ქარქაშში და მსოფლიო ზავი მზადდება, ამ დროს სომხეთის მთავრობა მალულად, ჩუმად ჩვენ, საქართველოს რესპუბლიკას, თავს დაგვესხა, თვისი რეგულიარული ჯარი ჩვენს ქვეყანაში შემოიყვანა. ამით სომხეთის მთავრობამ დაარღვია საუკუნოებრივ შემუშავებული კეთილ-მეზობლური განწყობილება; მან ლახვარი ჩასცა, როგორც ქართველი, ისე სომხის ხალხის ისტორიულ ტრადიციას. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამ ორ ერს შორის გამართულიყოს ბრძოლა, ახლა კი ამ მთავრობამ ორივე ხალხი ჩაითრია სისხლის ღვრაში.

თუ კი საშუალო საუკუნოებში, იმ ბარბაროსულ დროს ეს ორი ერი ახერხებდა მორიგებით ცხოვრებას, რა მოხდა დღეს, აწ მეოცე საუკუნეში, რომ სომხეთის მთავრობა იარაღს იღებს ხელში საქართველოს წინააღმდეგ? მან ჩაიდინა დიდი ისტორიული დანაშაული და ეს დანაშაული დარჩება წაურეცხელი ისტორიის ფიცარზე. ქაჯაზნუნის მთავრობამ პასუხი უნდა აგოს როგორც ამ ორი ხალხის, ისე კაცობრიობის წინაშე. მან საბუთები უნდა მოიყვანოს, რომელიც უფლებას აძლევდა ასეთი ნაბიჯის გადადგმისათვის.

მე უკვე ვიცი ეს საბუთები და მე მინდა ქვეყანამ განსაჯოს, თუ შეიძლებოდა ამ საბუთების ძალით ორ მეზობელ ერს შორის ბრძოლა გაეჩაღებინა, პირველი საბუთი: საზღვარზე მდებარე სომხის ერთ სოფელში ჩვენმა ჯარმა შეურაცხყოფა მიაყენა მცხოვრებლებს. საიდან გაიგეს ეს? რატომ არ შეგვეკითხნენ ჩვენ თვითონ დავსჯიდით დამნაშავეებს. საიდან მიიღეს უფლება ჩვენ შინაურ საქმეში ჩარეულიყვნენ და ჩვენს საზღვრებში მცხოვრებთა შეურაცხოფისათვის ბრძოლა გაემართათ ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ? სად მომხდარა, რომ ასეთ წვრიმალ საქმის გამო ომი გამოეცხადებინათ. ეს საბუთი ისეთი მჩატეა, რომ ვერავითარ სერიოზულ საბუთად ვერ გამოდგება.

მეორე საბუთი: თქვენ დაიჭირეთ სადავო რაიონებიო. დიახ, დავიჭირეთ, მაგრამ განა ეს ახალი ამბავია? ეს მოხდა ორი თვის წინად და რატომ მაშინვე არ სთქვეს, რომ ბორჩალოს რაიონის დაჭერა ომის მიზეზად იქნებოდა აღიარებული. ჩვენ თავიდან გამოვაცხადეთ: საქართველოს საზღვრებში ვთვლით მთელ ტფილისის გუბერნიას და თუ ვისმე აქვს სადავო ამის შესახებ, მობრძანდით და ვილაპარაკოთო. ამავე მიზეზით ჩვენ დავიჭირეთ ჯავახეთი, როდესაც იგი განთავისუფლებულ იქმნა ოსმალებისაგან. არც ეს არის ახალი ამბავი: ეს არ მომხდარა უცებ, ჩვენ ველოდით ჯავახეთის გაწმენდას ოსმალებისაგან და ყველამ იცოდა, რომ მას ჩვენ ვიკავებდით.

აი, ბატონებო, ეს არის სულ მათი მთელი საბუთები. ამაზე მეტი მათ არ მოეძებნებათ. აქედან თქვენ ხედავთ, რომ ეს ძველი საბუთები იმიტომ არის ეხლა წამოყენებული, რომ გაამართლონ თავისი ეხლანდელი მუხანათური მოქმედება. თქვენ იციო, რომ მგელმაც არ შეჭამა კრავი უმიზეზოდ: დამნაშავე ხარ, წყალი ამიმღვრიე და უნდა შეგჭამოო. უნდოდა შეეჭამა და ეს საბუთად მოიყვანა. ასევე მოიქცა სომხეთის მთავრობა; ქაჯაზნუნის მთავრობას ასეთი ბუნება აქვს: მას არ შეუძლიან მეზობლებთან კეთილ განწყობილებაში იყოს მას უნდა შური, მას ჰსურს შუღლი ერებს შორის.

ჩვენ გვეგონა და ვფიქრობდით, რომ ერევნის მთავრობამ იცის, თუ იმას დღევანდელ პირობებში თათრებთან ცუდი განწყობილება აქვს, სამაგიეროდ ქართველებთან აქვს კარგი განწყობილება. და ჩვენთან კარგი განწყობილება თუ ჩაშალეს რა იმედით? ალბად, რაღაცის იმედი აქვს, მათ რაღაც ძალის იმედი აქვთ, მაგრამ ეს იმედი ამაოა, არა მგონია, დღეს იყოს ასეთი ძალა მართალია ჩვენს მივმართეთ გარეშე ძალას, მაგრამ, არა ამიერ-კავკასიის ერთა წინააღმდეგ, არამედ ამ ერების მტრის წინააღმდეგ: ჩვენ ამით დავიცავით დიდძალი სომხობა. ხოლო ქაჯაზნუნის მთავრობა ემყარება რაღაც ძალას ამიერკავკასიის ერთა წინააღმდეგ მოქმედებისათვის. ჩვენი პოლიტიკა არის მიმართული ამიერკავკასიის ერთა სოლიდარობისაკენ, მეორე პოლიტიკა, ქაჯაზნუნის მთავრობისა მიმართული იქითკენ, რომ მოისპოს ეს სოლიდარობა და იყოს მტრობა, ჩვენ ამ ხაზს თავიდანვე ვებრძოდით და დღესაც ვებრძვით, ჩვენ გვქონდა სომხეთის მთავრობასთან მოლაპარაკება. თქვენ იცით დღევანდელ გაზეთებში გამოქვეყნებულ ნოტებიდან, რომ მიწერ-მოწერა გვქონდა სომხეთის მთავრობასთან. ჩვენ ვწერ-

დით, მობრძანდით კონფერენციაზე და სადავო კითხვებზე ვილაპარაკოთ. აქ მე და საგარეო საქმეთა მინისტრს გვქონდა მოლაპარაკება სომხეთის წარმომადგენელთან ასეთივე მოლაპარაკება ჰქონდა იქ, ჩვენს დიპლომატიურ წარმომადგენელს ბ. სიმონ მდივანს სომხეთის საგარეო საქმეთა მინ. ტიგრანიანცთან. ამ მოლაპარაკების დროს თანხმობას აცხადებდენ მშვიდობიანის გზით სადავო კითხვების გადაჭრაზე. მაგრამ... როდესაც მდივანი აქ წამოვიდა გზაზე მოაწოდეს ულტიმატუმი, რომელიც ჩვენ შემდეგ მოგვივიდა.

თვითონ სომხეთის მთავრობაში ჩვენ ვიცით იყო ორი მიმართულება. ერთი მიმართულება მოითხოვდა ჩვენ მორიგებას მშვიდობიანი გზით; მეორე იყო მხედრობის მიმართულება, მიმართულება მაუზერების. მე მაშინ დამებადა ეჭვი, როდესაც მოჰკლეს კარჩიკიანი.

ყოველ შემთხვევაში, ასეა თუ ისე ამ მხრით ისტორიული დანაშაულის პასუხისმგებელი არის მთავრობა ერევნისა, მთავრობა ქაჯაზნუნისა. ჩვენი მთავრობა მოითხოვს, რომ ამ საქმეს ქართველი ერი შეხვდეს სერიოზულად: მთელი საქართველო, მთელი დემოკრატია ფეხზე დადგეს და დაცვას საქართველოს რესპუბლიკა და სამართალი.

იქ, სადაც უფლება არ სჭრის, დე ხმალი იყოს სამართლის მომპოებელი (ძლიერი ტაში).

იქ, სადაც გონება არ სჭრის, დე იარაღმა შეასმინოს ძლიერი ტაში).

ჩვენ ვართ დარწმუნებული და ყველამ იცის, რომ ჩვენ მივიღეთ ყოველი ზომა რომ მშვიდობიანად გადაგვეწყვიტა კითხვები და ეხლა ყველა მოქალაქე, განურჩევლად პარტიისა და ეროვნებისა მოვალეა დაეხმაროს საქართველოს მთავრობას სიმართლისათვის ბრძოლაში (ძლიერი ტაში)“.

დადგა ის დრო, როდესაც ამიერ-კავკასიის ერთა შორის უნდა დავამყაროთ უფლებრივი მდგომარეობა და თუ იქ, ერევანში, ეს არ სურთ ეს იარაღით უნდა გადავწყვიტოთ (ტაში).

თუ ასე დარჩა მდგომარეობა, როგორიც ეხლა არსებობს, შეუძლებელი იქნება ფედერაცია, ან კონფედერაცია ამიერ-კავკასიის ერთა შორის.

ჩვენ მოუწოდებთ არა სომხების წინააღმდეგ: ერებს შორის უნდა იყოს უფლებრივი განწყობილება და ჩვენ მოუწოდებთ იმ მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც უფლებრივი განწყობილების დამყარებას ეწინააღმდეგება.

ვინაიდან ჩვენს წინააღმდეგ აღმართეს ხმალი და იარაღი, ჩვენ უნდა ავიღოთ იგივე იარაღი და იმავ იარაღით გავსცეთ პასუხი. საჭიროა მხოლოდ თვითეულმა შეასრულოს თავისი მოვალეობა და მტერს მტრულად დახვდეს (მთელი დარბაზი ფეხზე ადგომით და) განუწყვეტელი ტაშისცემით ხვდება პირველი მინისტრის განცხადებას და ოვაციებს უმართავს მას. ამ ოვაციებში მონაწილეობას არ იღებს სომხის ზოგიერთი დეპუტატი: თარხანოვი. თუმანოვი და სხვები. მთელი დარბაზი აღშფოთებულია სომხების უგუნური და მუხანათური საქციელით. თვით უმშვიდესი ქართველი დეპუტატებიც ვერ ითმენენ და გამართავენ ხმაურობას. მემარჯვენე სექტორიდან სომხების დეპუტატებს უყვირიან: „ჯაშუშებო გადით გარეთ!“ თარხანოვი და თუმანოვი დარბაზს სტოვებენ. მათ შემდეგ თანდათან გადიან სხვებიც: დავითხანიანი და აიეტისიანცი ნახევარი საათის შემდეგ დარბაზს სტოვებენ აგრედვე დოლუხანოვი და ბარხუდაროვი და ამ გვარად სომხის დეპუტატებიდან დარბაზში აღარავინ რჩება. ცოტა ხნის შემდეგ დაშნაკელი დავითხანიანი შემოდის დარბაზში და რაღაც განცხადებას უდგენს პრეზიდიუმს. როგორც გავიგე, პარლამენტის დაშნაკური ფრაქცია პროტესტს აცხადებს იმ შეურაცხყოფის გამო, რომელიც პარლამენტის წევრებმა მოაყენეს მათ და საყვედურს უცხადებენ თავმჯდომარეს, რომ იგი არც კი შეეცადა დაეცვა სომხის დეპუტატები უსამართლო მოპყრობისაგან. თუ თქვენ ვერ მოისმინეთ დღეს სომხის დეპუტატების აზრი, ამის ბრალი თქვენ თვითონ გედებათო).

ფრაქციათა წარმომადგენლები.

გრ. რცხილაძე. (სოც.-ფედ.) მძიმე, სასტიკი მომენტია. თქვენ მოწმე იყავით, რომ ჩვენი მთავრობის თავმჯდომარე, ჩვენი დემოკრატიის მესვეური, ჩვენი დემოკრატიული პარლამენტი, ჩვენ ყველანი ერთის აზრით ვიყავით განმსჭვალული, მთელი ფიქრით გატაცებული, და ისმენდით იმას, რასაც ჩვეულებრივ ენაზე იარაღის გაშიშვლება ეწოდება. გვაიძულეს ჩვენ ყველა იარაღი აგვეჟღარუნებინა, დაარღვიეს ერთა სოლიდარობის პრინციპი.

მე არ შემიძლიან დამშვიდებით არც ვილაპარაკო, არც ვიფიქრო ამ საკითხზე უმიზეზოდ არაფერი ხდება. ტყუილად ვიფიქრებთ, თითქოს აქ გარდამავალი მიზეზი იყოს. მიზეზები არის სამწუხაროდ და ამ მიზეზებს გამოხატავს სამხედრო პარტია, რომელსაც არა ჰსურს რესპუბლიკაში სიმშვიდე იყოს.

პირველი საკითხი, რომელიც იბადება ყველგან, სადაც კი გარეშე ძალა შემოესევა, მდგმარეობს იმაში, თუ რით უპასუხოთ ამას? აქ მხოლოთ ერთი პასუხი შეიძლება: შემოსეულ ძალას უნდა დაუპირდაპიროთ შეერთებული ძალა მაგრამ ძალა შეიქმნების ორნაირად: ჩვენ გვინდოდა ჩვენი სახელმწიფოს ძალა შეგვედგინა ისე, რომ ყველა მოქალაქე არა მთავრობის განკარგულებით ასრულებდეს თავის მოვალეობას, არამედ იგი თავისი შეგნებით ყოფილიყო მზად რესპუბლიკის დასაცავად. ჩვენ გვინდოდა, რომ განურჩევლად ეროვნებისა ყველას ეგრძნო თავი, როგორც თავის სამშობლოში; ამ წესით გვინდოდა აგვეგო ჩვენ სახელმწიფო. მაგრამ არ გვაცლიან ამ მუშაობას, არ გვაცლიან შურით, რომ აქ ვიცავთ დემოკრატიულ წყობილებას, შურთ და უნდათ აქაც გამეფდეს უწესოება, რომელიც ირგვლივ გვარტყია ყოველი მხრით. არიან ისეთი ელემენტები, რომელნიც ფიქრობენ, როცა უწესოება არის, მაშინ მეტის გაკეთება შეუძლიანთ.

ჩვენ გვინდოდა გულწრფელად აგვეშენებია სახელმწიფო თავისუფლების და კეთილმეზობლობის პრინციპზე. მაგრამ არ გვაცლიან დღეს ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია. ვინც ნებაყოფლობით არ იქნება დამცველი ჩვენი ქვეყნის, იმას ვაიძულებთ დასტოვოს ჩვენი სახელმწიფო. ნურავინ მოიტყუებს თავს, რომ აქ რაღაც პატარა ჯგუფი მოქმედებს და უბრალო გარემოება იყოს სანაინის ამბები. არა! ეს დიდი შებრძოლებაა. ის პირები, რომელნიც ხელმძღვანელობენ ამ საომარ მოქმედებას, რომელნიც უარჰყოფენ მშვიდობიანის გზით სადავო კითხვების გადაწყვეტას ეს პირები არ დასწრებიან იმ დრომდე, სანამ თვით იარაღი არ დაუმტკიცებს მათ შეცდომას. მხოლოდ იარაღით შეიძლება ეხლა დაუმტკიცოთ რომ ის გზა, რომელიც მათ აურჩევიათ სადავო კითხვების გადასაჭრელად, შემცდარია.

მთავრობის თავმჯდომარემ სთქვა—ალბად, იმ მთავრობას, რომელიც აწარმოებს ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებას; გარეშე ძალის იმედი აქვსო. მე უნდა მოგახსენოთ რომ თუ ის სამხედრო მოქმედება, რომელიც არარატის მთავრობამ დაიწყო, გაგრძელდა, თუ ის გასტანს რამდენსამე თვეს, მაშინ სრულიად სამართლიანად შეიძლება ითქვას, რომ ეს გარეშე ძალა თვითონ შეეცდება ამ მოქმედების ლიკვიდაციისათვის. ამიტომ ჩვენი მიზანი უნდა იყოს, საჩქაროდ მოხდეს ლიკვიდაცია ამ ამბებისა.

ვისაც აინტერესებს ერთა თვითგამორკვევა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, ის ჩვენთან უნდა იყოს ამ ბრძოლის დროს, სომხეთის მოღვაწეებმა იციან, თუ არ იციან, უნდა იცოდნენ რომ გარეშე ძალის მოწვევა შინაურ საქმეებისათვის, არ არის მიზანშეწონილი, იგი პირდაპირ დამღუპველია. ეს უნდა იცოდნენ მათ გამოცდილებით. არის ისეთი ჯგუფი, რომელიც ფიქრობს, რომ მას დასაკარგი არაფერი აქვს და ადგია ავანტიურის გზას. და მე მრწამს, რომ უდიდესი ნაწილი სომხის ერისა შორს არის ამას, და ის მოსურნეა მშვიდობიანი გზით მორიგებისა მეზობლებთან. არიან ისეთი პირები, რომელთაც ვერავითარმა გამოცდილებამ ვერ ასწავლა, რომ შეიარაღებული ძალით არ შეიძლება გადაწყვეტა სადავო საკითხებისა, მათ წინააღმდეგ ჩვენ ერთი საშუალება გვაქვს—დარაზმვა მთელი ჩვენი სამხედრო ძალებისა და ჩაქრობა ავანტიურის.

მთავრობის თავმჯდომარემ მოუწოდა პარლამენტს ერთსულოვან მოქმედებისათვის. პარლამენტს შეუძლია სთქვას, რომ ყველა ის, ვისაც ესმის დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა, მთელის თავისი ძალით გონებით, ფიზიკური და გონებრივი ძალით მიაშურებს სამშობლოს დასაცავად.

ისარგებლედ ჩვენი ძალებით, იხელმძღვანელეთ და მოუღეთ ბოლო ავანტიურას. (ძლიერი ტაში).

მ. დავარაშვილი. (ქართ. ისრაელი). მოქალაქე ხალხის წარმომადგენელნო! ამ ისტორიულ მომენტში როდესაც ქართველ და სომეხ დემოკრატიათა მტრებმა სისხლით მოპოებულ საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა განიზრახეს და როდესაც საქართველოს უაზრო სისხლის ნიაღვარი ასტეხეს ასეთ დროს მე ვერ გავბედავ გაჩუმებას და საყოველთაოდ უნდა განვაცხადო მთელი ქართველი ისრაელების სახელით, რომ მთელს ჩვენს ძალღონეს ჩვენი ჭაბუკ-ახალგაზდების სიცოცხლეს ჩვენს ფიზიკურს, ზნეობრივსა, გონებრივსა და მატერიალურ სიმდიდრეს დავსწირავთ ჩვენი ძვირფასი სამშობლოს საკურთხეველზე ქართველი ხალხისა და დემოკრატიის საკეთილდღეოდ.

ჩვენ კარგად გვესმის, როგორ დასცემს ჩვენს სახალხო მეურნეობას ეს ომი და პოლიტიკურ ეკონომიურ მომავალს იმ ადგილების დაკარგვას რომელნიც საქართველოს უდავო და უსაჭიროეს ტერიტორიას შეადგენს. ეს ჩვენს მტრებსაც ესმისთ და ამიტომაც ჩაგვცეს ასე მუხანათურად ხანჯალი ზურგში, მაგრამ ჩვენ არ დავეცემით სულით, რადგან მოწამენი ვართ საქართველოს იმ მრავალ ამაღლება დამცირებისა, რომლებიდანაც მუდამ გამარჯვებულნი გამოვსულვართ. ასევე იქნება ახლაც. საქართველოს ვერავინ დასცემს. ეს უდავოა, მაგრამ როდესაც ჩვენს უმაგალითო წესრიგს და თავისუფლებას საფრთხეს უმზადებენ, მაშინ ყველაფერი განზე უნდა გადგეს და მთელი ჩვენი გრძნობა ნება და გონება საქართველოს გამარჯვება მისი თავისუფლებისა და დემოკრატიის განმტკიცებას უნდა მოხმარდეს.

ჩვენ ვიცით, რომ დღეს საქართველო გაერთიანებულია, ჩვენი ძალები აღარ არიან დაქსაქსულნი და ეს არის დიდი საწინდარი მართალი საქმის გამარჯვებისა. ამ შემთხვევაშიც, როგორც ყოველთვის, ჩვენც ქართველი ისრაელებიც, ამოძრავებულნი ჩვენის ისტორიული ტრადიციებით, ვუერთდებით ქართველი ხალხისა და დემოკრატიის ბელადს ნ. ჟორდანიას და ვამბობთ: გაუმარჯოს დამოუკიდებელსა და თავისუფალ საქართველოს! გაუმარჯოს მის ძლევამოსილ ლაშქარს. (მხურვალე ტაში).

შემდეგ ლაპარაკობს **გრ. ვეშაპელი** (დამოუკ ნ.-დ.) **გ. გვაზავა** (ნ.-დ.) **ალ. ლომთათიძე** (ს.-დ.) სახალხო გვარდიის ხელმძღვანელი **ვ. ჯუღელი**, **ი. გობეჩია** (ს.-რ.) **ახვერდოვი** (მუსულმ.) **მ. მაჩაბელი** (დამოუკ. ნ.-დ.) ელინთა წარმომადგენელი, და დასასრულ სამხედრო მინისტრი **გრ. გიორგაძე**. (მათ სიტყვებს ხვალინდელ ნომერში მოვიყვანთ).

ს.-დემოკრატიულ ფრაქციას შემოაქვს რეზოლიუცია, რომელიც მიღებულია ერთხმად:

„მოისმინა-რა მთავრობის მოხსენება შესახებ სამხედრო მოქმედებისა საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკებს შორის, პარლამენტი აღიარებს, 1) რომ საქართველოს მთავრობას არავითარი საბაბი მტრული განწყობილებისა არ მიუცია სომხეთის მთავრობისათვის, რომ მან მიიღო ყოველი ზომა ორ მოძმე სახელმწიფოთა შორის საქმის მშვიდობიანად მოგვარებისათვის და ყველა სადავო საკითხების შეთანხმების გზით გადაწყვეტისათვის: 2) რომ სომხეთის მთავრობის ჯარი ვერაგულად შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში, მოულოდნელად თავს დაესხა საქართველოს ჯარის სადარაჯოებს, მრავალი ჯარისკაცი დაიხოცა, მრავალი ტყვედ წაიყვანა. პარლამენტი იწონებს მთავრობის ყველა მოქმედებას და მისგან მიღებულ სამხედრო ზომებს, რომლებიც მიმართულია საქართველოს მტერთა ასალაგმავად. აღუთქვამს მთავრობას ყოველს დახმარებას რესპუბლიკის დასაცველად და აცხადებს, რომ რესპუბლიკის ძალები მიმართულია არა სომეხ—ხალხის წინააღმდეგ, არამედ წინააღმდეგ სომხეთის მთავრობისა და იმ წრეებისა, რომელთა პოლიტიკას მიზნად აქვს ხიდი ჩატეხოს საუკუნოებით მეგობრულ ერთა შორის და როგორც ქართველს, ისე სომეხ—ხალხს განადგურებას უქადის“.

პარლამენტი ადგენს დაიბეჭდოს და ხალხში დარიგდეს ნ. ჟორდანიას, ვ ჯუღელისა და გრ. გიორგაძის სიტყვები, რომელიც მათ დღევანდელ სხდომაზე წარმოსთქვეს.

დასასრულ მიღებულია კანონ-პროექტი, რომლის ძალით სამხედრო ოპერაციების ხარჯებისათვის გადადებულია 25 მილიონი მანეთი.

კრება იხურება 4 ნახევარ საათზე.

გერმანული პრესის ცნობები.

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო.)

საბჭოს მოწოდება.

სახალხო კომისართა საბჭომ გერმანიის ხალხს მოწოდებით მიმართა მოწოდებაში ნათქვამია: ომმა ჩვენ დაგვაღარიბა, მაგრამ დამარცხებამ უფრო მეტად. მიწის დამუშავებას ყურადღებით არ ვეპყრობოდით. ჩვენი შინაური აქონელი მოსპობილია, ტრანსპორტი შემცირდა, ქარხნებში მუშაობა ზოგან შემცირდა, ზოგან კი სრულიად შეჩერდა, ნედლი მასალა არ მოგვეპოვება, ზავის მძიმე პირობები თავისუფალ მოქმედებას გვისპობს, გამარჯვებულმა აუტანელი ტვირთი დაგვადვეს. შემდეგ მანიფესტი გერმანიის მუშებს მოუწოდებს აღადგინონ განადგურებული მრეწველობა, რომ შიმშილი და სამოქალაქო ომი, რომელიც ძლიერდებოდა რევოლიუციონერ მონაპოვართა დაღუპვას უქადის, თავიდან იქნას აცდენილი მუშებს მოუწოდებენ დაიწყონ მუშაობა ყველგან, სადაც შესაძლებელია დარჩებიან დიდ ქალაქებში წავიდენ სოფლათ და პატარა ქალაქში.

გროსბერლინის ჯარისკაცთა საბჭოს დელეგატების არჩევნებზე გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა დელეგატების ცენტრალურ საბჭოს კრებაზე დასასწრებლად, რომელიც დეკემბერში გაიხსნა სოციალ-დემოკრატიულ უმრავლესობის პარტიამ მიიღო 204 ხმა დამოუკიდებელ სოციალისტებმა 121 ამრიგათ ჯარისკაცთა საბჭოდან სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობას პარტია 4 წარმომადგენელს გაგზავნის დამოუკიდებელნი კი 2 გროსბერლინის მუშათა საბჭომ ცენტრალურ საბჭოს წევრების არჩევნების დროს სოც.-დემ. უმრავლესობის პარტიას 349 ხმა მისცა 79 კი ინტელიგენციის ფურცელს. ამგვარად მუშათა საბჭოები ცენტრალურ საბჭოში 4 სოციალისტს, 5 დამოუკიდებელს და 1 ინტელიგენტს გზავნის, საერთოდ. გროსბერლინის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოებიდან წარმომადგენელთა დელეგაციაში შედის 2 სოციალისტი 7 დამოუკიდებელი და 1 ინტელიგენტი

ახალი ამბავი

◆ **მისალმება ზუგდიდიდან.** სახალხო გვარდიის სადღესასწაულოდ გამართულ მრავალ რიცხოვან მიტინგის დამსწრენი მთელი ადგილობრივი გვარდიელები სალამს უძღვნიან საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს და მის მედგარ დამცველ სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს. ღრმად დარწმუნებულნი ვართ, როგორც დღემდე, ისე მომავალშიც მხნედ იბრძოლებენ რევოლიუციის მონაპოვართა განსამტკიცებლად და რისხვად მოევლინებიან რევოლიუციის და თავისუფალ საქართველოს დამოუკიდებლობის შინაურ და გარეშე მტრებს. თავის მხრივ აღთქვამენ დემოკრატიულ რესპუბლიკას ყოველგვარ დახმარებას ჭირსა და ლხინში. მიტინგის თავმჯდომარე მუჯირი.

◆ **დაშნაკელ დეპუტატების პროტესტი.** დეკემბრის 17 ის პარლამენტის ინცინდენტზე როცა მთავრობის თავმჯდომარის სიტყვას ჩვენ ტაში არ დავუკარით და დეპუტატი რცხილაძე სკამით გვემუქრებოდა ხოლო სხვა დეპუტატებიდან ზოგიერთი მუშტებითა და ლანძღვა-გინებით მოიწევდნენ ჩვენზე, ჩვენ უაღრესად დასაგმობ და ანტიპარლამენტარულ მოვლენად ვთვლით და ჩვენ მრისხანე პროტესტს ვაცხადებთ რომ პარლამენტის თავმჯდომარე არ ჩაერია საქმეში და წესიერებისაკენ არ მოუწოდა პარლამენტარული წესის დამრღვევნი და ჩვენ საშუალება არ მოგვცა განმარტება მიგვეცა ჩვენი საქციელისათვის. ამის გამო ჩვენ პროტესტის ნიშნად, მივატოვეთ პარლამენტის დარბაზი სანამ ჩვენი დეპუტატის პატივი და უფლება სრულებით არ იქნება აღდგენილი. ამასთანავე საჭიროდ მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ რომ თუ საქართველოს პარლამენტი ყურს არ ათხოვებს სომხის ერის წარმომადგენელთა ხმას, ამის შედეგების პასუხისმგებლობა ჩვენ არ უნდა დაგვაწვეს. დაშნაკცაკანთა ფრაქციის დეპუტატები: დ. დავითხანიანი და ტ. ავეტისიანი.

◆ **„რესპუბლიკის ჯარი“** რედაქციამ მიიღო სამხედრო ჟურნალ „რესპუბლიკის ჯარის“ მესამე ნომერი. ჟურნალში მოთავსებულია ლეიტენანტ გერკის, ი. გომართელის და სხვათა წერილები და ცნობები. ჟურნალი შინაარსიანია და შეიცავს 16 გვერდს.

◆ **სახელოსნო კლუბში** მუშ. დემ, კლ. არს. ქარ. წარ. მმართველი წრე მართავს წარმოდგენას მსახ. პ. ფრანგიშვილის მონაწილეობით. წარმოდგენილი იქნება „და-ძმა დრ. 5 მოქ. და 6 სურ. ვ. გუნიასი. ბილეთების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს სრულ 7 საათზე.

◆ **საჩუქრები ჯარისთვის**. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებამ გადაწყვიტა შეაგროვოს საზამთრო საჩუქრები იმ ჯარის ნაწილებისათვის, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს განაპირა ადგილებში. საჩუქრად მიიღება თამბაქო, პაპიროსის ქაღალდი, წუწუმა, ჩაი, შაქარი, საცვლები, ცხვირსახოცები, ტანისამოსი, ფეხსაცმელები, ყაბალახები, კონსერვები, ხილი, ღვინო: კონიაკი და სხვა—მიიღება საქველმოქმედო საზოგადოების კანტორაში, სასახლის ქუჩა, № 5. ფულით შემოწირულება კი მიიღება სამეურნეო ბანკის შენობაში ბ. პ. გოთუასთან ბანკის მეცადინეობის დროს. სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა № 6. საქველმოქმედო საზოგადოებამ ამ მიზნისათვის თავისი კასიდან გადადვა 5,0000 მან. საჩუქრები დაეგზავნება ჯარს საზოგადოების მიერ არჩეულ საგანგებო რწმუნებულების ხელით. საზოგადოება მოუწოდებს ფილიალურ განყოფილებებს გახსნან ადგილობრივათ შემოწირულების მიღება ჩვენი ჯარისათვის.

◆ **დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი“.** კვირას, დეკემბრის 22 მსახიობ პ. ფრანგიშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“. ბილეთები იყიდება ყოველ დღე კასაში საღამოს 4-დან 7 საათამდე. დაწვრილებით აფიშებში.

◆ **შუამდგომლობა.** სახაზინო სკოლების ინსპექტორმა განათლების მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ მასწავლებლები დააკმაყოფილეთ ჯამაგირებითაო განათლების მინისტრმა ეს შუამდგომლობა ფინანსთა მინისტრს გაუგზავნა.

◆ **ბათომში.** სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ბათომში დაუბრკოლებლივ სწარმოებს ქართველების დაბრუნება. ვინაიდან მოკლე დროში ბათომში საქალაქო არჩევნები უნდა მოხდეს, საჭიროა ყველა ქართველი დაუბრუნდეს ბათომს.

◆ **გერმანელების განმარტება.** საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრს გერმანიის დელეგაციამ განმარტებითი ნოტა გაუგზავნა, სადაც ნათქვამია, რომ ტფილისის ზოგიერთი გაზეთები ხმებს ავრცელებენ, რომ „პალას ოტელის“ დაწვას ხელი შეუწყო ამ სასტუმროში მოთავსებულმა გერმანელთა ასაფეთქებელმა მასალებმა ბენზინმა და სხვამაო. დელეგაცია აცხადებს, რომ სასტუმროში არავითარი ასაფეთქებელი ნივთიერება არ გვქონია შენახულიო.

◆ **სამშობლოს დასაცავად** საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის თავმჯდომარეებს ცხინვალიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდათ. ცხინვალის მოქალაქენი მზადა ვართ დავიცვათ სამშობლო და თავისუფლებს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

დღეს, დეკემბრის 19-ს, საღამოს 5 საათზე პარტიულ დარბაზში დანიშნულია ტფილისის მოწაფეთა კომიტეტის კრება. კომიტეტის წევრებს ვთხოვთ აუცილებლივ დაესწრნენ.

მანიფესტაცია ქუთაისში

დეკემბრის 16 ს ქუთაისში სოც.-ფედერალისტების პარტიულ ბიუროში გაიმართა მრავალ რიცხოვანი პარტიული კრება, რომელსაც დაესწრო განათლების მინისტრი გიორგი ლასხიშვილი, წარმოითქვა მრავალი სიტყვა დღევანდელი მომენტის შესახებ. ლასხიშვილის სიტყვას საზოგადოება დიდის ოვაციებით შეხვდა და იგი კრების გათავების შემდეგ ხელში აყვანით მუშათა საბჭოში მიიყვანეს, სადაც ილაპარაკეს სოც.-ფედ. სოც.-დემოკ. და სხვა ორატორებმა. შემდეგ ქუჩებში გაიმართა დიდი მანიფესტაციები სომხებთან ომის გამო. ხალხში უდიდესი აღფრთოვანებაა და ყველა სურვილს გამოსთქვამს ფრონტზე წასვლისას სამშობლოს დასაცავად.

ეროვნული

ქალაქის საბჭო

ტფილისის ქალაქის საბჭოს სხდომა დეკემბრის 16 ალ. ლომთათიძის თავმჯდომარეობით მოუნდა ქართველ-სომეხთა ურთიერთობის საკითხს

ქალაქის თავმა ნ. ელიავამ მოკლედ გააცნო საბჭოს ხანაინის ამბები. შემდეგ ივ. გეგეჭკორმა ვრცლად გააცნო ხმოსნებს დიპლომატიური მოლაპარაკების დოკუმენტები.

შემდეგ ილაპარაკეს იაგჯიანმა (დაშნ.), ლ. თუმანოვმა (ს. რ.), ნ ნათაძე (ს.-დ.), აკ. პაპავამ (ს.-ფ.), ნ. რამიშვილმა, აუშტროვმა (ს.-დ.), გოთუამ (ნ. დ.), დოლუხანოვმა, ხანდამოვმა (კად.) და ჩერქეზიშვილმა (ს. რ.).

ყველანი, გარდა სომხების, ეს-ერების და კადეტებისა — გამოსთქვამდნენ იმ აზრს, რომ საქართველოს მთავრობამ ყოველგვარი ზომა მიიღო ომის თავიდან ასაცილებლად, ხოლო სხვები მიკიბ-მოკიბულად ლაპარაკობდნენ, რომელშიაც ნათლად გამოსჭვივოდა საშინელი მტრობა საქართველოსადმი.

ამხ. აკ. პაპავამ შემდეგი სთქვა: რუსეთის რევოლიუციის შემდეგ წვრილმა ერებმა შემოქმედებითი მუშაობა დაიწყეს და ჩამოაყალიბეს საკუთარი სახელმწიფოები. საქართველოც ამ გზას დაადგა და ყველაზე ნაკლებ თავის მეზობელ ერისაგან—სომხეთისაგან მოელოდა მახვილის ჩაცემას.

საშინელი ფურცლები იწერება ამ ისტორიისა და იგი გვაგონებს ოსმალეთის ვერაგულ მოპყრობას საქართველოსადმი. სამწუხაროდ, საქართველოს დემოკრატიის იმედი აქაც არ გამართლდა: იგი გულწრფელად, დემოკრატიულის ენით ელაპარაკებოდა ოსმალეთის მთავრობას ზავზე, შეთანხმებაზე, ოსმალეთი კი ამ დროს მუხანათურად იკავებდა ჩვენს პოზიციებს და ომის გამოუცხადებლად ფაქტიურ ომს აწარმოებდა.

ალბად ეს აზიური დიპლომატია შეითვისა ოსმალეთის ფრთებში აღზრდილმა დაშნაკციუთუნის პარტიამ, როცა იგი შეთანხმებაზე და კონფერენციაზე გველაპარაკება, დელეგატების გამოგზავნას გვპირდება და ამ დროს ეს ვითომდა სოციალისტური პარტია ფაქტიურად ჩვენს დაცემას ცდილობს. მას უნდა ჩვენი დიპლომატია ვეოაგულად გამოიყენოს. მაგრამ, მჯამს, ასეთი პოლიტიკა კიდევ უფრო დადუპავს სომხის ერს, ვიდრე დაშნაკციუთუნი აქამდე ანადგურებდა საკუთარ ერს.

ამ იაგჯიანი ეს მეორედაა ამ საკითხის ირგვლივ გოდებს, მაგრამ ეს გოდება არაა მისი პარტიის გოდება, იგი გვეუბნება: სცადეთ ხელ ახლა მშვიდობიან გადაწყვეტა საკითხისაო ვინ უნდა სცადოს? იგონია, საქართველოს არავითარი ცდა არ დაუკლია, მას გულწრფელად უნდა კეთილმეზობლური განწყობილება, იგი აქამდე უცდიდა ამას მაგრამ პასუხად ხარიახვის ქექა გაიგო. გვეუბნებიან: დაახევინეთ უდავო ადგილებიდამ ჯარს და შეთანხმებით გადაწყვიტეთ საკითხიო. რატომ? როცა [illegible] სომხის ჯარი და დაშნაკციუთუნის პარტიის კარნახით ხელჰყო გვალეს საქართველოს ტერიტორიას, განა ამ დროს, როცა ისინი ცდილობენ ახალი უცხო ძალა ერთგვარ ფაქტის წინაშე დააყენონ, განა ჩვენ უკან უნდა დავიხიოთ? არა. ამის იმედი ხვავის ექნება.

როგორი უნდა იყოს ხმა საქართველოს სატახტო ქალაქის დემოკრატიულ საბჭოსი, მას მარტო ერთი შეუძლიან სთქვას: რომ იგი მზად არის ბოლომდე ერთგულად ემსახუროს საქართველოს მთავრობას და სასტიკი პროტესტი გამოუცხადოს სომხეთის ერის უპასუხისმგებლო მთავრობის პოლიტიკას, რომელიც დემოკრატიზმის ქურქში გახვეულა, სიტყვით შეთანხმებაზე ლაპარაკობს და საქმით გულში მახვილს გვცემს...

საბჭომ მიიღო რეზოლიუცია: მხარი დაუჭიროს ყოველ ზომას, რომელიც მიმართული იქნება საქმის მშვიდობიანად გასათავებლად.

ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს,

გარდა რკინის გზის და სამხედრო უწყებისა

ამა წლის დეკემბრის ათს მთავრობის დადგენილების სისრულეში მოსაყვანად, რათა მოეწყოს სასურსათო დახმარების ორგანიზაცია ყველა სახელმწიფო მოსამსახურეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, შრომის სამინისტროსთან დაარსდა კომისია რომელშიც შედიან შემდეგი დაწესებულებათა წარმომადგენლები: შრომის სამინისტროსი, ცენტრალურ სასურსათო საბჭოსი, უმცროს და უფროს სახელმწიფო მოხელეთა კავშირების, ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის და კოოპერატივებისა.

კომისიას დაეკისრა, სახელმწიფო მოსამსახურეებს დახმარება აღმოუჩინოს საჭირო საგნების იაფად მიწვდენით, რაიც უნდა შეიძინოს მან ბაზარზე და სახელმწიფო საწყობთაგან იმ ორ მილიონ თანხის შემწეობით, რომელიც გადასდო მთავრობამ ამ საქმისთვის.

ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს გარდა რკინის გზის და სამხედრო უწყებისა, წინადადება ეძლევათ დაუყონებლივ წარმოადგინონ შრომის სამინისტროში თავის მოსამსახურეთა სია შემდეგი განმარტებით: 1. რა თანამდებობისაა მოსამსახურე, 2. ოჯახური მისი მდგომარეობა, 3. რამდენი სულია, 4 რა ჯამაგირს იღებს (ყველა დამატებებით) 5. იღებს თუ არა რაიმე საჭირო საგნებს დაწესებულებებიდან, რა ფასში და სად იღებს.

შრომის სამინისტრო იმედოვნებს, რომ ვინაიდან ეს ცნობები სასარგებლოა თვითონ მოსამსახურეთათვის, ძლიერ დაჩქარებით სისწორით იქნეს წარმოდგენილი.

ტფილისის სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა სია უნდა იქნეს წარმოდგენილი არა უგვიანეს ამ თვის 20-სა.

შრომის მინისტრის ამხანაგი **ერაძე.**

მისაღები ორიენტაცია

მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს, ისეთი დიდი ცვლილება კაცობრიობის ცხოვრებაში, რომლის მოწმენი შევიქენით ჩვენ ამ მეოცე საუკუნის დასაწყისში.

ჯერ იყო და იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ტყვია-წამლის ცეცხლში გაახვიეს მთელი ქვეყნიერება და საუკუნოების განმავლობაში შექმნილი კულტურა გაანადგურეს. პატარა ერები ღვთისრისხვად ევლინენ და თავიანთ აზრის გაფართოების საქმეს შეეწირეს ასი ათასობით და მილიონობით ჯანსაღი და სიცოცხლით სავსე ახალგაზდობა, მაგრამ თითქოს განკითხვის დღე დაუდგა მტაცებლურ პოლიტიკას: აგრესიულ ბურჟუაზიის იმპერიალისტურ ზრახვებს, საერთაშორისო დემოკრატია ამ დიდი რევოლიუციით უპასუხა.

ჩვენ წინასწარმეტყველობას თავს დავანებებთ და არ ვიტყვით იმას, რომ საერთაშორისო რევოლიუცია, რომელიც ჯერ კიდევ განვითარების ფაზისში იმყოფება, უსათუოდ გამარჯვებული გამოვა იმპერიალიზმთან ბრძოლაში; ვეღარც იმას ვიტყვით, თუ რამდენად დიდი იქნება იგი გამარჯვება,—თუ უკანასკნელს საზოგადოთ ექნა ადგილი—ამ გიგანტურ ჭიდილში. შესაძლებელია დიდი რევოლიუციას დიდი რეაქცია მოჰყვეს და სისხლის მორევში ჩაახრჩოს ყოველგვარი ნატამალი თავისუფლებისა. ისტორია საკმაო საბუთებს იძლევა ამ გვარი სიფრთხილისათვის. ვის არ ახსოვს საფრანგეთის დიდი რევოლიუცია, მაგრამ რომელი ისტორიკოსი ივიწყებს ევროპის დიდ რეაქციასაც (მოიგონეთ მეტერნიხი და მისი დრო), რომელმაც შავი სუდარა გადააფარა სახელოვან მებრძოლთა წმიდა იდეალს.

შესაძლებელია თანამედროვე რევოლიუციასაც ასეთი ბედი ერგოს ბოლოს, მაგრამ ჯერ-ჯერობით რომ მისი გავლენა ძლიერ იზრდება ევროპაში, ეს ცხადზე უცხადესია. არც ისაა სიმართლეს მოკლებული, რომ საერთაშორისო რევოლიუციის ლაშქარს თანდათან ემატება ძალა სხვადასხვა სახელმწიფოებისა და ერების სახით.

დაინგრა ძველი რუსეთი ეს კლასიკური ბუდე ბიუროკრატიისა და ჟანდარმერიისა; დაინგრა ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფოც ეროვნული შუღლის ლაბარატორიად წოდებული; მას მოჰყვა განადგურება ჰოგენცოლერნთა ტახტისა და იმ ქვეყანაში, რომლის „ხელმწიფის სურვილი უმაღლესი კანონი იყო“ ხალხი გახდა თვითონ ხელმწიფედ და მისი სურვილი კი უმაღლესი კანონად.

ჯერი ახლა ინგლის-საფრანგეთის კოალიციაზე მიმდგარი. მართალია „გამარჯვებულთ არ სჯიანო“—ნათქვამია, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება ის გარემოებაც, რომ მსოფლიო ომმა დაახლოვებით ერთი და იგივე შედეგები მოგვცა როგორც „გამარჯვებულსა“ ისე — დამარცხებულ ქვეყნებში; ფინანსების აწეწვა, სიმშილი უმუშევრობა და ამან ერთიდა იგივე ხასიათის უკმაყოფილება დაჰბადა ორივე მებრძოლ კოალიციის ხალხთა ფართე წრეებში. რამ აალაპარაკა ლოიდ ჯორჯი ფართე სოციალურ რეფორმებზე, შრომისა და კაპიტალს შორის დამოკიდებულების მოწესრიგებაზე? რამ და საერთაშორისო რევოლიუციის შიშმა—ვიტყოდით ჩვენ. სხვანაირი პასუხი არც კი შეიძლება, ინგლისის მთავრობას სოციალისტობაში ხომ ვერ დავსდებთ ბრალს?.. რატომ არ უშვებენ „არც ერთ გერმანელს“ ინგლისში მართველი წრეები? იმიტომ რომ ეშინიანთ „წითელი ამბების“ გაგონების. მაგრამ ნურც ის გაგვეკვირდება თუ ინგლისის პროლეტარიატმა ერთხელაც არის გაჰფანტს თავის წრეებში შეპარული ნისლი ლიბერალიზმისა (ტრედ-უნიონი) და გადაჭრით მოითხოვს ახალი კურსი და სისტემა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის. ჩვენ ამის სიმპტომებს უკვე ვხედავთ. ნიშნებია, რომ საფრანგეთის მშრომელ ხალხიც ესოდენ მდიდარი თავის რევოლიუციონურ წარსულით და საამაყო ტრადიციით, გვერდში ამოუდგება სხვა ერების რევოლიუციონურ დემოკრატიას და მხურვალე მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. აქ უნებლიედ გვაგონდება 1904 წ. ამსტერდამში მომხდარი საერთაშორისო-სოციალისტური კონგრესი, სადაც განსვენებული ჟან-ჟორესი, მთელი თავისი ძალ-მეტყველებით, ბრალს სდებდა გერმანიის სოციალ-დემოკრატებს ოპორტუნიზმში და ეროვნული სიამაყით მიუთითებდა ფრანგების რევოლიუციონურ ტრადიციებზე.

„დღეს გამოჩნდება ვინ არის ერთგული“ და ვის უფრო შესწევს სურვილი და ძალა რევოლიუციონური ბრძოლისა გერმანიის თუ საფრანგეთის სოციალისტებს: ახლა გამოჩნდება რომელი უფრო მიიღებს მონაწილეობას სოციალისტური ინტერ-ნაციონალის, რომლის უტყუარი ორიენტაციის უნდა ეზიაროს ყველა პატარა დაჩაგრული ერები საზოგადოდ და მარტოდ საქართველოს დემოკრატიაც. თუ სურთ [illegible] კალი წევრი თავისუფალ ერთა კავშირის და არა იმპერიალისტური ობიექტი მსოფლიო ბურჟუაზიის ზრახვების სოციალისტური ინტერნაციონალის ორიენტაცია ყველაზე უკეთილშობილეს ორიენტაციაა ჩვენთვის და ყველა ჩვენს ბედში მყოფ ერთათვის; იგი არა ჰგავს იმპერიალისტურ სახელმწიფოებზე დაყრდნობილ ორიენტაციას, რომელმაც შესაძლებელია დღეს დაგიხსნას გარეშე საფრთხისაგან, მაგრამ მალე თვითონ მოგევლინება ჯალათის როლში და იძულებული შეიქმნე გაიბუტო შენს გულმხდელ „მეგობარს“ და ახალი მოკავშირეს დაუწყო ძებნა.

გერმანიასთან ჩვენ არა ერთხელ და ორჯელ მოგვივიდოდა უთანხმოება და უთანხმოება იგი ცხადია ნამეტანი საზიანო იქნება ჩვენი ხორჩი რესპუბლიკისა და მისი დამოუკიდებლობისათვის, ერთი სიტყვით რამდენადაც დროული და არა სამედო ორიენტაციაა იმპერიალისტური სახელმწიფოს, იმდენად მუდმივი და უტყუარია ორიენტაცია ინტერნაციონალის. ჩვენ, სოციალისტ-ფედერალისტები განსაკუთრებული შეგულების ვართ სოციალისტური ინტერნაციონალზე და მის სავსებით გარკვეულ სახეში, შესაფერის მინაარსაც ვგულისხმობთ; მას ჩვენ საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ხელმძღვანელ ორგანოდ ვთვლით; ხოლო მისი შემადგენელ ნაწილებად კი საკუთარი ეროვნული ორგანიზაციის მქონე რევოლიუციონური და სოციალისტური პარტიები, რომლითაც ასე მდიდარია.

ახალი საქართველო. იმ საქართველოს, რომელმაც საერთაშორისო რევოლიუციის განთიადზე აღმართა თავისუფლების დროშა და თავის ბედის მესვეურობა დააკისრა რევოლიუციონური და სოციალისტური პარტიებს, ყველაზე უფრო შეფერის ორიენტაცია საერთაშორისო რევოლიუციის და სოციალისტური ინტერნაციონალის. ჩვენ აქეთკენ მოუწოდებთ საქართველოს მშრომელ ხალხს და დარწმუნებული ვართ, რომ იგი მას არ უღალატებს და ხელ-ხელ ჩაკიდებული ივლის მასთან, როგორც ჭირში, ისე ლხინში.

გ. პ.

ღია წერილი

პოლკოვნიკ ხარაძეს.

ბ. პოლკოვნიკო! როგორც გადმომცეს, თქვენ შეცდომით ჩემზე აგიღიათ ეჭვი, ვითომც მე თქვენი საწინააღმდეგო წერილი დამეწეროს „ალიონის“ № 20 წერილი თუმცა იყო ჩემ მიერ დაწერილი, მაგრამ ის ეხებოდა თქვენი რაზმის ნაძირალებს, რომლებმაც ბოროტმოქმედება თქვენ მოგახვიეს. მერე უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი სიმართლე უკვე დამტკიცდა და ყველა თქვენი მოწინააღმდეგენი ვალდებულნი არიან თქვენ წინაშე ბოდიში მოიხადონ და ყოველივე თქვენი საწინააღმდეგო ხმები იყო გავრცელებული უპასუხისმგებლო პირებსაგან.

პატივისცემით შტ.-კ. **ალ. გორგაძე.**

წერილი რედაქციის მიმართ

მოქ. რედაქტორო, გთხოვთ ეს წერილი მოგვითავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში; თქვენსავე გაზეთის № 407-ში მოთავსებულია ქრონიკაში შემდეგი:

„ყაჩაღი მანჯავიძის მოკვლა შტაბის ქ. სასტუმრო „ფრანციის“ წინ.

მოქ. რედაქტორო, ეს მანჯავიძე ჩემი ძმაა, მაგრამ ძმის სიკვდილს ისე არა ვწუხვარ, როგორც საზიზღარ და ცრუ ხმების გავრცელებას. ჩემი ძმა ყაჩაღი არ გახლდათ, ის საქართველოს ლეგიონის ერთი წევრთაგანი იყო. წინად პოლიციკი და როდესაც ასეთი რამ იწერება გაზეთებში სამწუხაროა. და თუ ვინმე დაამტკიცებს ჩემი ძმის ყაჩაღობას, მადლობას გადაუხდი და დიდი სიხარულითაც შევხვდები ჩემი ძმის სიკვდილს..

გეო მანჯავიძე.

—

მოქალაქევ რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში ამ წერილს: [illegible] ვსთხოვ ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების ვერის წიგნთ საცავ სამკითხველოს იმ თვიურ მკითხველთ, რომელთაც დიდიხანია აქვთ წაღებული წიგნები, დააბრუნონ რაც შეიძლება მოკლე ხანში, ვინაიდან სამკითხველო დიდ უწიგნობას განიცდის ამ ჟამად.

ვსთხოვ აგრეთვე პატივცემულ ქართველ საზოგადოებას თუ კი ვისმეს მოეპოება და [illegible], [illegible] ხმარებულ სამკითხველოს ქართველ და უცხოულ გამოჩენილ მწერლების ნაწარმოები.

ვსთხოვ ტფილისის ყველა ქართულ გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი.

ვერის სამკითხველოს გამგე.

გამომცემელი
[illegible]
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

საექიმო მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევანი
მიიღება
ა. ს. ახვლედიანის
აფთიაქში. გოლოვინის პროსპექტი
№ 41, ტელეფონი 11—65. 2554

ექიმი ა. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფებს დილის 11—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი კონსტანტინე ტარიელის ძე ლორთქიფანიძე (ბაქოდან) მიიღებს შინაგან სნეულობის და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. [illegible] ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19. 2012

ექიმი ქალი რ. ბ. [illegible] მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და [illegible] ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალთა და ბავშვთა ავადმყოფებს და იძლევა სახლ[illegible] დარიგებას. სიფილისის წამლობა. ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილოვის პრ. სახლი № 119. ტელ. 9—26. 2306

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მისამართი მიხაილოვის ქ. № 11. 2245

ექიმი დ. ა. ხარაიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლოს. 2105

ექიმი [illegible] შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, [illegible] ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ციებისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 6—88. 1270

ექიმი ე. ი. [illegible]. მიიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფები დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოვ.“ პირდაპირ № 8. 301

ექიმი ქ. ტყეშელაშვილი, განაახლა ავადმყოფების მიღება (საშარდე და სასქესო ორგანოების სნეულებანი, ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი, „914“-ის შეშხაპუნება) ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათ. გარდა კვირისა. კერძო საავადმყოფოში, მიხეილის ქუჩა, № 167. 2407

ექიმი ბ. მ. მუხაძე იღებს სალოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 15—77. 300

ექიმი ნ. ლ. [illegible] (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, [illegible] და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმონოვის აფთიაქის გვერდით. 908

თვალის სამკურნალო [illegible] ექიმ დოხნინისა
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 626

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი
მედიცინის დოქტორის
გ. მერაბოვისა
(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა)
მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულიზი), კუჭისა და ჭიქებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ.
ხაწყლებს უფასოდ. 1340

კერძო სამკურნალო
მმ. ა. დ. ალექსიძის
მომსვლელ ავადმყოფთათვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.
გ. მ. რეკვავა—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.
შ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ერლიხ) 11—12 ს.
ი. ა. ლაზარევი—საბავშო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.
ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.
ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.
შ. ნ. იმხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.
ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.
ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).
ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.
სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.
მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—8
სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2178

ექიმ ნავასარდიანის [illegible] კერძო სამკურნალო.
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
ს. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ს. მ. [illegible]: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. გ. ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.
ი. ა. ტერ-გრიგორიანცი, 12—1 ს. შინაგანი.
რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგეებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი.

ტფილისი, სტამბა ზარიძის № 14 (კალოუბნის ქ. 14).